EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU -

სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ,,სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი'' (შემდგომში წესი) სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის სრულად გამოყენების და ჯეროვანი განვითარების მიზნით, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯაროობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

2. წესის მიზანია მოაწესრიგოს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის სრულად ამოქმედების, მკვლევართა საერთაშორისო აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში ინტეგრაციის, მეცნიერებაში ნიჭიერი და მოწადინებული ახალგაზრდების მოზიდვის წახალისების შიდა საუნივერსიტეტო პროცესები.

3. სამეცნიერო პროექტის დაფინანსების წინადადებით კომისიას შესაძლებელია მიმართოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელს (ლექტორი/მკვლევარი). ერთობლივი პროექტის დაფინანსების წინადადებით შესაძლებელია კომისიას ჯგუფმა, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს სხვა დაწესებულების მკვლევარებისგან.

4. საკვლევი პროექტების შერჩევის კონკურსის გამოცხადება ხდება საჯაროდ კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების მკაფიოდ მითითებით.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის სათანადოდ ჩატარების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სამეცნიერო კვლევების საგრანტო კომისია (შემდგომში საგრანტო კომისია).

2. საგრანტო კომისია მოწოდებულია:

ა) განსაზღვროს სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები;

ბ) შეაფასოს პროექტებისთვის მოთხოვნილი თანხების ჩასატარებელ კვლევებთან შესაბამისობა.

3. საგრანტო კომისია უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას დადგენილი იურიდიული პროცედურების დაცვით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას;

გ) გამარჯვებული პროექტების მიუკერძოებლად გამოვლენას ავტორების ანონიმურობისა და შეფასების ფარულობის დაცვით;

დ) გამარჯვებული პროექტების დეშიფრაციას კომისიის მდივნის მეშვეობით;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათზე დაკვირვებას დადგენილი წესის მიხედვით.

4. კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების კომისიის განსახილველად წარდგენა;

გ) პროექტების კომისიის სხდომაზე განხილვა;

დ) გამარჯვებული პროექტების გამოვლენა ავტორების ანონიმურობის დაცვითა და ფარული შეფასების სისტემით;

ე) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 3. მონაწილეობის პირობები, პროექტის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

1. მოთხოვნები კვლევითი პროექტის მიმართ

ა) კვლევითი პროექტის აქტუალობა მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული;

ბ) მსგავსი კვლევა უახლოესი სამი წლის განმავლობაში არავის არ უნდა ჰქონდეს ჩატარებული;

გ) პროექტის შემოტანა შეუძლია ერთ ან რამდენიმე პირს;

დ) პროექტის მონაწილე უნდა იყოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი;

ე) სხვა დაწესებულების თანამშრომლის მონაწილეობა პროექტში შესაძლებელია, თუმცა მას უნივერსიტეტი არ დააფინანსებს. ამ შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევის განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან თანადაფინანსებით;

ვ) ერთ პიროვნებას ერთზე მეტ პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია;

ზ) პროექტი უნდა იყოს დაყოფილი ეტაპებად და თან უნდა ახლდეს დეტალური ბიუჯეტი;

თ) პროექტი უნდა მოიცავდეს სავარაუდო შედეგებსა და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას;

ი) პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

კ) პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს და არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.

1.1. **პროექტის ბიუჯეტი**

ა) საგრანტო განაცხადს თან უნდა ახლდებს პროექტის ბიუჯეტი და შედგებოდეს საშემოსავლო და სახარჯო ნაწილებისაგან და დეტალურად ასახავდეს შემოსავლის წყაროებსა და დანახარჯების მუხლებს.

ბ) საშემოსავლო ნაწილში წარმოდგენლი უნდა იყოს უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილი თანხა და პარტნიორისაგან მისაღები ფინანსები.

გ) წარმოდგენილ ბიუჯეტში მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი პროექტის განხორციელების ეტაპების მიხედვით მოთხოვნილი თანხა, რომელიც ნაწილ-ნაწილ გადაერიცხება მონაწილეებს ყოველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათ მიერ წარდგენილი პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების და კომისიის დადგენილებების საფუძველზე.

1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) კომისიის მდივანს დოკუმენტაცია უნდა მიეწოდოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. ვადაგადაცილებული განაცხადები არ მიიღება.

ბ) კომისია უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

გ) დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

1.3. საგრანტო ხელშეკრულება

ა) კონკურსში გამარჯვებული პროექტების მონაწილე პირებთან უნივერსიტეტი აფორმებს ხელშეკრულებებს.

ბ) ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შეთანხმებას პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლების განაწილების შესახებ საქართველოსა და პარტნიორის ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნით საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება კომისიის თანხმობით.

1.4. ანგარიშგება და პროექტის შესრულებაზე დაკვირვება

ა) უნივერსიტეტი შეთანხმებული ბიუჯეტის მიხედვით პროექტის განხორციელების ყოველი ეტაპის წინ ავანსის სახით გადარიცხავს თანხებს და ყოველი ეტაპის დასრულების და საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ აკეთებს შემოწმებას ჩატარებული სამუშაოების დაგეგმილთან შედარების მიზნით.

ბ) ფინანსური კუთხით შემოწმება გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

გ) პროექტი ასევე ეტაპობრივად მოწმდება სამეცნიერო კომპონენტის შესრულების კუთხით.

დ) საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება ერთი წლით.

ე) პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვ) პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ მის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა თანხაზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

2. პროექტის ფარული შეფასების სისტემა

2.1. პროექტის შეფასება ხდება შვიდი კრიტერიუმის მიხედვით:

ა) ჩასატარებელი კვლევის აქტუალობა;

ბ) პროექტის ბიუჯეტის ჩასატარებელ კვლევებთან შესაბამისობა;

გ) პროექტისთვის განსაზღვრული დროის ჩასატარებელ კვლევებთან შესაბამისობა;

დ) პროექტის მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა;

ე) პროექტში მონაწილე პირების პროფესიული გამოცდილება;

ვ) სხვა დონორებისაგან მოზიდული ფინანსების მოცულობა;

ზ) წარმატებულ სამეცნიერო ჯგუფებთან თანამშრომლობა.

2.2. ყოველი კრიტერიუმი შეფასდება მაქსიმუმ ხუთი ქულით.

2.3. კომისიის წევრები აფასებენ დაშიფრულ პროექტებს.

2.4. პროექტების დეშიფრაციასა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

1. კომისიის საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია, დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას);
2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ,,სამეცნიერო საქმიანობის დაფინასების წესში'' ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონდმებლობით დადგენილი წესით.